

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სხდომა №2

თბილისი

28 მაისი 2013წ.

ოქმი №2 /2013

სხდომას ესწრებოდნენ :

1. არჩილ ლორია (სამართლის ფაკულტეტი);
2. ლელა ნადიბაიძე (სამართლის ფაკულტეტი);
3. დავით გეფერაძე (სამართლის ფაკულტეტი);
4. ამალია არუთინოვა (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
5. ნინო ქეცბაია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
6. ბესარიონ ნაყოფია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
7. რუსუდან დევნოზაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
8. ნინო ორმოცაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
9. ირმა ზაქარაია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
10. კახა კვამილავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
11. ნინო ნასყიდაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
12. ირაკლი კორსაველი (სამართლის ფაკულტეტი);
13. დავით ჭონქაძე (სამართლის ფაკულტეტი);
14. მეგი ცინცაძე (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
15. თამუნა ჩხეტია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
16. ინა დეისაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
17. გიორგი კაკაბაძე (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
18. ნანა ბარნაბიშვილი (თჰუ ბიბლიოთეკის უფროსი).

აგრეთვე,

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე;
პროფესორი კახი ყურაშვილი;

ქვორუმი: 9

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ნინო ორმოცაძე

სხდომის მდივანი: ასოც. პროფესორი ირმა ზაქარაია

დღის წესრიგი:

თპუ რექტორის 2013 წლის 24 მაისის N49/01 ბრძანების საფუძველზე: ა) თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის არჩევის თაობაზე (მომხს. პროფ. ნ. ორმოცაძე).

1. მოისმინეს:

სხდომა გახსნილად გამოაცხადა თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესმა წევრმა, პროფ. ნ. ორმოცაძემ, რომელმაც დამსწრე წევრებს მიულოცა წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი ვადით არჩევა და უსურვა წარმატებები. მან საბჭოს გააცნო, თპუ რექტორის 2013 წლის 24 მაისის N49/01 ბრძანება, რომლის საფუძველზეც დამტკიცებულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ახალი შემადგენლობა და მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 24 მაისიდან 2017 წლის 24 მაისამდე. ასევე, მომხსენებელმა განაცხადა, რომ უნდა აირჩეს ა) წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე და ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი.

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ და დ. გეგერიძემ, რომელმაც წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელა ჯანდაცვის ფაკულტეტის სრ. პროფესორი ნინო ორმოცაძე. გაიმართა ღია კენჭისყრა. წარმოდგენილ კანდიდატს 18 წევრიდან; მხარი დაუჭირა 15-მა: 1 წინააღმდეგი და 2-მა თავი შეიკავა; ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის კანდიდატად დაასახელა ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოც. პროფ. ირმა ზაქარაია. გაიმართა ღია კენჭისყრა. ყველამ ერთხმად მხარი დაუჭირა ი. ზაქარიას კანდიდატურას.

გადაწყვიტეს:

1. არჩეულ იქნას თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარად ჯანდაცვის ფაკულტეტის სრული პროფესორი ნინო ორმოცაძე;
2. არჩეულ იქნას თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნად ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ირმა ზაქარაია;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე:



ნ. ორმოცაძე

ნ. ორმოცაძე

მდივანი:

ირმა ზაქარაია

ი. ზაქარაია